



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

*Scientific magazine*  
**“AUTHORITY AND SOCIETY**

(History, Theory, Practice)”

**Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**  
(История, Теория, Практика)“

№ 1 (17) 2011



ლია დიპლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი

*Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association*


Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

**ს. 402**



**სარედაქციო კოლეგია:**

**შოთა დოლონაძე**

მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ოთარ ბალათურია**

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია, რასა ბელოკაიობე, ანასტასია განიხი, იური გორიცი, ვახტანგ გურული, შოთა დოლონაძე, ელიუნ დრაკე, პარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო გამიზი, რიჩარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუჩანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერგ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსულან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს პარდინგსი



ურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის  
პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე  
პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები  
გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ  
ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,  
I სართული, ტელ. 36-45-14,  
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 364514

e-mail: [office@odageorgia.ge](mailto:office@odageorgia.ge)

**გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია**  
ურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ფიბგვერდებზე:  
<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო  
სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

**ს ა რ ჩ ე გ ი  
მიწისძვრა იაპონიაში-მსოფლიო ტრაგედია -----4**

**თმორია**

<b>თამარ რევაზიშვილი</b>	
საჯარო მმართველობა ეკლოგის სფეროში-----12	
<b>მარინა ტაბატაძე</b>	
საარჩევნო სტრატეგია – სოციუმის პოლიტიკური შეთავაზება-----23	
<b>ოთარ ქოჩორაძე, ნინო შამანაძე</b>	
საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია-----30	
<b>ოთარ ქოჩორაძე, ნინო ჩიქობავა</b>	
სახელმწიფოებრიობა -----36	

**ისტორია**

<b>თენგიზ გრიგოლია, შალვა ნაჭუებია</b>	
ეგროკავშირის აღმოსავლეთით პარტნიორობის ინიციატივა და საქართველო-----44	
<b>ალექსანდრე ჩერგასოვი</b>	
სამოქალაქო ომი რუსეთში: შავი ზღვის გუბერნიის გამანთავისუფლებელი კომიტეტისა და მისი შეიარაღებული ძალების შექმნა (1919-1921 წწ.)-----50	

**ეპონომიკა**

<b>მაია გუნცაძე, ნინო ჯლამაძე</b>	
რისკების ტიპები და წყაროები-----63	
<b>მაია გუნცაძე</b>	
რისკის დირებულების, ზღვარის განსაზღვრა მართვა-----70	
<b>ნოდარ ცანავა</b>	
ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური დაგებმვის და მართვის პრობლემები-----75	
<b>ელა ქუსიანი</b>	
არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია-----85	

**საზოგადოება**

<b>ბადრი ცხადაძე, ება ცხადაძე</b>	
ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკური შეხვედრები (მოი, მო)-----96	

# 東日本巨大地震



## მიზანის მიზანი და მიზანის მიზანი

ურნალ ”სელისუფლება და საზოგადოების” რედკოლეგია გამოთქვამს უღრმეს მწუხარებას იაპონიაზე 11 მარტს თავსდამტყდარი დამანგრევებით მიწისძვრით გამოწვეული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს იაპონიის მთელ მოსახლეობას. ჩვენ შეძრწუნებული ვართ იმ უბედურებით, რომლის წინაშეც აღმოჩნდა იაპონია.

შორეული იაპონია ახლობელია საქართველოსთვის. იაპონელთა თავდაუზოგავი შრომა, ნიჭიერება, უდიადესი კულტურა, ზეობრივი სრულყოფილება, სულიერი სიმტკიცე, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოჩნდა ამ ტრაგიულ დღეებში, საუკეთესო მაგალითია მისაბაძად ყველა იმ ადამიანისა თუ ქვეყნისთვის (მათ შორის საქართველოსთვის), ვინც მსოფლიო ცივილიზაცითა თანამეგობრობაში დირსეული ადგილის დამკვიდრებისკენ მისწრაფვის.

ამ ტრაგიულ დღეებშიც იაპონლები ჩემი გმირობის აურაცხელ მაგალითს იძლევიან და ჩვეული ორგანიზებულობით, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობანადგმით შეუპოვრად ებრძვიან ბრძა სტიქის დაუნდობელ და უსაზღვრო ძალას და კვლავაც (მერამდენეჯერ!) მთელ მსოფლიოს უზვენებენ თუ როგორ ეგების ”ჭირსა შიგან გამაგრება, ვით ქვიტკირსა”.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამომავალი მზის ქვეყანა დაძლევს ამ ტრაგედიის შედეგებს, მოშეშებს საყვარელ ადამიანთა დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს და კიდვე უფრო უკეთეს ქვეყანას შექმნის, ქვეყანას, რომელიც კვლავაც დიდ სიხარულს მიანიჭებს არა მსოლოდ საკუთარ მოქალაქეებს, არამედ განაციფრებს მთელ მსოფლიოს.

## EARTHQUAKE IN JAPAN. THE WORLD TRAGEDY

The editorial board of the magazine «Authority and Society» presents the deepest condolences concerning the tragedy which have brought down to Japan on March, 11th, caused destructive earthquake and sympathizes with all Japanese people. We are stunned by Japan's Grief.

Distant Japan is close to Georgia. Diligence, talent, great culture, moral perfection, spiritual firmness which was especially visually showed during these tragically days, are the best example for all people and the countries (including Georgia), which aspire to take a worthy place in the commonwealth of the World civilization.

These tragically days Japanese give set of examples of silent heroism and ordinary organization, peculiar to them, mutual support of the authority and the society, and persistently struggle against ruthless and huge force of blind Elements and again (which time!) show to the whole world as it is necessary to overcome an immense grief.

We are assured that the Country of the Rising Sun will overcome tragedy consequences, will heal pains caused destruction of beloved people and will create more magnificent country which, as well as is become to it, again will present huge pleasure not only to its citizens, but also to the whole world.

## ЗЕМЛЕТРЯСЕНИЕ В ЯПОНИИ. ВСЕМИРНАЯ ТРАГЕДИЯ

Редколлегия журнала «Власть и Общество» выражает глубочайшее соболезнование по поводу обрушившей на Японию трагедии 11 марта, вызванного разрушительным землетрясением и сочувствует всему японскому народу. Мы потрясены горем, перед которым оказалась Япония.

Далекая Япония близка Грузии. Трудолюбие, талантливость, великая культура, нравственное совершенство, духовная стойкость, которая особенно наглядно проявилась в эти трагические дни, наилучший пример для всех людей и стран (в том числе для Грузии), которые стремятся занять достойное место в содружестве мировой цивилизации.

В эти трагические дни японцы дают множество примеров тихого героизма и свойственной им обычной организованности, взаимной поддержкой власти и общества упорно борются против беспощадной и огромной силы слепой стихии и вновь (который раз!) показывают всему миру как нужно пересилить необъятное горе.

Мы уверены, что Страна Восходящего Солнца одолеет последствия трагедии, залечит боли вызвавшие гибелью любимых людей и создаст

еще более великолепную страну, которая, как и подобает ей, вновь подарит огромную радость не только своим гражданам, но и всему миру.

### უკომენტაროდ:

12 მარტი, 2011  
მცირფასო სეიჩი,

ჩვენ ღრმად ვწუხვარო იაპონიაში მომხდარი ამბის გამო, ეს იყო ნამდვილად საშინელი ბუნებრივი კატასტროფა. ჩვენ განსაკუთრებით ვდელავთ, რადგანაც კატასტროფის ცენტრი სამწუხაროდ სენდაი იყო.

ჩვენ უკიდურესად ვნერვიულობთ თქვენზე და თქვენს მდგომარეობაზე, ველოდებით ინფორმაციას თქვენგან. ვიმედოვნებთ, რომ კარგად ხართ თქვენ, ადა და სხვა კოლეგები. გაუა კიდნაძე

12 მარტი, 2011  
მადლობა გაუა

### სეიჩი და ადა

მადლობა, ეს ნამდვილად დიდი მიწისძვრა იყო, უველაზე დიდი ჩვენს თანამედროვე ისტორიაში. ეს მე მაშინვე ვიგრძენი, როდესაც უველავერი ზანზარებდა, ხოლო შემდგე გამოქვეყნდა ოფიციალური მონაცემებიც. მე მოველოდი, რომ დიდი მიწისძვრა უნდა მომხდარიყო, ასე, რომ მომარაგებული მქონდა 48 ლ მინერალური წყალი და წყლით სავსე აბაზანა.

დაკონსერვებული და მშრალი საჭმელები (აგრეთვე ორცხობილა), სამი 18 ლიტრიანი პლასტმასის ყუთით ნავთი (ისეთი, როგორითაც საქართველოში ლვინოს ყიდიან). მე ვეუმრობდი, რომ ჩვენ ვართ როგორც დაქირავებული ჯარისკაცი და ებრაელი გოგონა, რომლებსაც აქვთ ორცხობილა და ბევრი წყალი.

საბოლოო ჯამში ჩვენ არაგვიშავს, ნაკაწრის გარეშე გადავრჩით. მადლობა, ჩვენ ნამდვილად გაგვიმართლა, აქ ასობით გარდაცვლილია ცუნამისაგან.

როგორც იცი, ჩვენ ვცხოვრობთ ქალაქის ცენტრში, ასე რომ ჩვენ ამ სადამოს უკვე ელექტროენერგიაც გვაქვს.

მადლობა გაუა ჩვენი მოკითხვისთვის.

**12 მარტი, 2011  
ძვირფასო სეიჩი,**

მადლობა დეტალური ინფორმაციისთვის, მადლობა ღმერთს რომ შენ და ადა კარგად ხართ.

ნამდვილად, ჩვენი ოჯახის ყველა წევრი ძალიან ვნერვიულობდით და ვდელავდით თქვენი მდგომარეობის და ჯანმრთელობის გამო.

დღეს, მე და დათო ვიყავით იაპონიის საელჩოში ჩვენი მწუხარების გამოსახატად ამ ფაქტის გამო. საელჩოს მდივანმა მადლიერად მიიღო ჩვენი სამძიმარი.

მე გავუგზავნე წერილი ბატონ პიროკი ოკასაც, მაგრამ უკან მომივიდა. როგორც ჩანს მან ელ-ფოსტის მისამართი შეცვალა. საუკეთესო სურვილებით გაუა.

**17 მარტი, 2011  
ძვირფასო სეიჩი,**

ჩვენ ვაკვირდებით მოვლენებს და კატასტროფის შედეგებს იაპონიაში და სენდაიში. ჩვენ ვდელავთ ატომური საფრთხის გამო რეგიონში, ამასთან ჩვენ არ გვაქვს რაიმე ახალი ინფორმაცია თქვენს შესახებ. შესაძლოა უსაფრთხო არაა თქვენი ჯანმრთელობისათვის რომ დარჩეთ სენდაიში. ამის გამო, ჩვენი ოჯახი მზად არის გარევული დროის მანძილზე გიმასპინძლოთ საქართველოში, ჩვენს საკუთარ ბინაში, თუ ეს მისაღებია თქვენთვის.

ჩვენ მოუთმენლად ველით ახალ ინფორმაციას თქვენგან და ვიმედოვნებთ, რომ კარგად ხართ თქვენ და ადა.

გაუა, ეთერი, გიორგი და დათო.

**სეიჩი კიტაგავა, ქალაქ სენდაის, ტოჰიკუს უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი. პყავს მეუღლე ადა.**

**გაუა კიკნაძე – სეიჩი კიტაგავას კოლეგა და მეგობარი. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.**

**ეთერი – ვაუა კიკნაძის მეუღლე,**

**გიორგი ქიქნაძე** – ვაჟა ქიქნაძის შვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფროსი ოფიცერი.

**დავით ქიქნაძე** – ვაჟა ქიქნაძის შვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი, სახელმწიფო მართვის სპეციალობით.

**No coment:**

**March 12 2011**

**Dear Seiichi,**

We are deeply shocked by the news from Japan that was a real terrible natural disaster.

Especially we are shocked, because the center of the disaster unfortunately was in Sendai.

We worry extremely about you and your condition,

We are waiting some new information from you. We hope that everything is all right with you, Ada and Other colleagues.

**Vazha Kiknadze**

**March 12 2011**

**Thank You, Vadzha!**

**Seichi & Ada**

Thank You. It was Realy A Big One. Biggest in our modern History. I fet so when it was shaking and they published the mesured data.

But, I have been expected that a big one must hit us. So I got 48l of mineral water and water full of bathtub. Canned and dried food (or sukhari). 3 18 littled plastic boxes(that red one that they use to buy wine in Georgia ) of kerosene. I funned that we are like a guerilla soldier and a Jewish girl who have sukhari for three years and much water.

Well, we are fine without even a scratch. Thank you. we are realy very lucky., there are hundreds of dead by tsunami.

As you know we live in the center of the city ,so this evening we have already electricity.

**Thank you, Vadzha, for asking us.**

**March 12 2011**  
**Dear Seiichi !**

Thank you very much for detailed message! Thaks God you and Ada are OK ! Really, all members of my family and I were very nervous and confused about your conditions and health.

Today I and Dato visited Japan embassy to express our sorrow about the fact. Secretary of embassy got it thankfully. I sent the message to Mr. Hiroki Oka too, but it came back to me .So, it is evident that he changed his e-mail .

**The best wishes---- Vazha**

**March 17 2011**  
**Dear Seiichi,**

We observe the events and outcomes of the disaster in Japan and Sendai.

We are really worried about the nuclear danger in the region, and at the same time we don't have any further information about you. May be it is not safe for your health to stay in the region, so our family is ready to host you for some time in Georgia, in our flat if it is acceptable for you.

We are looking forward to hear some more news from you, and we hope, that everything is ok with you and Ada.

**Vazha, Eteri, Giorgi and Dato**

**Seichi Kitagava** - professor of the Tohoku University in Sendai. He is an orientalist and Khartvelologist. He has a wife Ada.

**Vazha Kiknadze** - a colleague and a friend of Seichi Kitagava. He is a director of the Institute of History and Ethnology.

**Eteri** is a wife of Vazha Kiknadza,

**George Kiknadze** - Vazha Kiknadze's son, a graduate of Georgian Technical University, nowadays the senior officer of revenew service of the Ministery of finance of Georgia

**David Kiknadze** - Vazha Kiknadze's son, a student of the master program of the Business engeniering faculty of the Georgian Technical University. Public Administration speciality.

**Без коментариев:**

**12 Марта, 2011**  
**Дорогой Сейичи,**

Мы сильно пережили те события, что произошли в Японии; это была настоящая природная катастрофа. Мы особенно обеспокоены, из за того что, к сожалению, центром катастрофы, был Сендай.

Мы очень волнуемся о Вас и о Вашем положении. Ждём информацию от Вас. Надеемся, что всё в порядке с Вами, с Адой и с другими коллегами.

**Важа Кикнадзе**

**12 Марта, 2011**  
**Спасибо Важа!**

**Сейичи и Ада**

Спасибо, да, это было по настоящему большое землетресение, самое сильное за нашу современную историю. Это я понял сразу, когда начало трясти, а потом, были обнародованы и официальные данные. Я знал, что должно было произойти большое землетресение, поэтому, запасся 48 литром минеральной воды, также наполнил бак с водой, подготовил также консервы и сухую еду (также сухари); в трёх 18 литровых пластмассовых ящиках, залил керосин (в таких канистрах в Грузии продают вино). Я шутил, что мы похожи на вояку – партизана и на еврейскую девочку, которая запалась сухарями и водой.

В конечном смысле, наше положение удовлетворительное. Мы обошлись без царапинки. Нам по настоящему повезло; Ведь здесь тысячи погибших от цунами.

Как ты знаешь, мы в центре города, так что в этот вечер, нам подали уже и электричество.

**Спасибо Важа за то, что всромнил о нас.**

**12 Марта, 2011**  
**Дорогой Сейичи!**

Спасибо за детальную информацию, слава Богу что Вы с Адой чувствуете себя хорошо. Реально, каждый член нашей семьи очень переживал и волновался за ваше состояние и здоровье. Сегодня я и Дато, посетили посольство Японии, чтобы выразить наше соболезнование по поводу случившегося в Японии. Секретарь посольства с благодарностью принял соболезнование.

Я отправил эл. письмо также г-ну Хироки Ока, но оно вернулось обратно. Как видно, он поменял адрес эл. почты.  
**С наилучшими пожеланиями – Важа.**

**17 Марта, 2011**  
**Дорогой Сеичи!**

Мы наблюдаем за событиями и последствиями катастрофы в Японии и в Сендае. Обеспокоены опасностью атомной радиации в регионе, при этом, у нас нет новых данных о Вас. Возможно, это не безопасно для Вас, оставаться в Сендае. Учитывая это, мы готовы пригласить Вас в Грузию, чтобы некоторое время Вы провели бы у нас, в нашей квартире, если это приемлемо для Вас. Мы с нетерпением ждём новую информацию от Вас и надеемся, что с Вами и Адой, всё в порядке.

**Важа, Этери, Георгий, Дато.**

**Сеичи Китагава**, профессор университета Токио (г. Сендаи), востоковед и картвелолог. **Ада** – его супруга.

**Важа Кикнадзе**, друг и коллега Сеичи Китагава, директор института истории и этнологии Грузии.

**Етери** - супруга Важы Кикнадзе.

**Георгий Кикнадзе** - сын Важы Кикнадзе, выпускник Грузинского технического университета, старший офицер министерства финансов Грузии.

**Давид Кикнадзе** - сын Важы Кикнадзе, Магистрант факультета Бизнес-инженеринга Грузинского технического университета по специальности государственное управление.

に悔みを述べる

# თ ე რ ტ ი პ

## თამარ რეგაზიშვილი საჯარო მმართველობა მკლობის სუვერენიტეტი

საჯარო მმართველობა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის დარგში ერთიანი საჯარო მმართველობის შემადგენელი ნაწილია. ამ სფეროში სახელმწიფო მართვის როლი გარემოსდაცვით მქანიზმში იმ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მნიშვნელობით განისაზღვრება, რომელთაც განსაკუთრებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული საშუალებები გააჩნიათ ეკოლოგიური კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების რეალიზებისათვის.

ისევე, როგორც მართვის ნებისმიერ მიმართულებაში, ეკოლოგიის სფეროში მართვის სუბიექტია ორგანო, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს სახელმწიფო დავალებებს ეკოლოგიის დარგში და აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებებით. ხოლო მართვის ობიექტად გვევლინება მოქალაქეთა საქმიანობა ეკოლოგიის სფეროში, ანუ ბუნებრივი ობიექტების: მიწის, წიაღისეულის, ტყების, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და მოხმარების სფეროში.

სამართლებრივი რეგულირების ობიექტი არის საზოგადოებრივი ურთიერთობები, ხოლო საჯარო მმართველობის ობიექტი კი – მოქალაქეთა ორგანიზაციული საქმიანობა კანონმდებლობის გათვალისწინებით. საჯარო მმართველობის შინაარსს შეადგენს სახელმწიფო აპარატისა და მისი ყველა ქვედანაყოფის საქმიანობა, რითაც განაპირობებულია ეკოლოგიის დარგში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეფექტური ფუნქციონირება პრაქტიკაში მიღებული გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხორმების გათვალისწინებით. როგორც მსოფლიოს უმსხვილესი მეგაპოლისების გარემოსდაცვითი საქმიანობის გამოცდილებამ გვიჩვენა, წარმატების მიღწევა მხოლოდ ხელისუფლებისა და ეკოლოგიურად განათლებული მოსახლეობის ჰარმონიული მოქმედების შედეგადაა შესაძლებელი.

დღეს სახელმწიფოს ფუნქცია, რომელიც მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარებისკენ, გარემოს დაცვისა და წარმოებაში ახალი უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვისაკენ, მრავალი მეცნიერის მიერ ზოგადსოციალურად

არის აღიარებული, რადგან სახელმწიფოს საქმიანობა ეკოლოგიის სფეროში ხორციელდება საზოგადოებისა და მომავალი თაობების ინტერესების შესაბამისად, ისე, როგორც ამას ითვალისწინებს მდგრადი განვითარება.

მდგრადი განვითარება სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ასპექტების დაბალისებული ურთიერთქმედებაა და ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც „მდგრადი განვითარება“ მსოფლიო საზოგადოების განვითარების წარმმართველი პრინციპი გახდა, მრავალი ქვეყნისთვის ეკოლოგიური ასპექტების განხილვა ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებთან კავშირში ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუციურ გამოწვევად იქცა. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი.

სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ჯანმრთელი გარემო სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთ“, – ნათქვამია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში. ამასთანავე, კონსტიტუციია თითოეულ მოქალაქეს აგალდებულებს „გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. კონსტიტუციის ეს დებულება ქმნის გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და ბუნებრივი რესურსების (წყალი, ჰაერი, მინერალური რესურსები, ბიომრავალფეროვნება) დაცვის საფუძველს და ადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ზოგად წესებს. ასევე ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. აღნიშვნული კანონი ითვალისწინებს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის მომზადებას და ამ პროცესში წამყვან როლს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ანიჭებს.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის №50 დადგენილების საფუძველზე მიღებული დებულების მიხედვით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო მმართველობას გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში. სამინისტროს საქმიანობას და ამოცანებს წარმოადგენს: გარემოსდაცვით ღონისძიებათა პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება; ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება; ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციების, ინდიკატორული გეგმების პროექტებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება; გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის ორგანიზება; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო მართვა (რეგულურება, ზედამხედველობა, ადრიცხვა, სალიკენზიო/სანებართვო მოწმობების გაცემა); საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემის ორგანიზებაში მონაწილეობა; გარემოში ქიმიურ საშუალებებისა და ნარჩენების გამოყენების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, ტრანსპორტირების, გადამუშავების, გაუვნებლობისა და განთავსების სახელმწიფო მართვა; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტების დადგენა; გარემოს დაცვის ნორმების შემუშავება და დამტკიცება; ეკოლოგიური ექსპრტიზის ორგანიზება; გარემოსდაცვითი აუდიტის განხორციელება; გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და საქართველოს კანონმდებლობის განსაზღვრული სხვა ამოცანათა შესრულება.

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამიჯვნის კრიტერიუმებია: გარემოს დაცვის ღონისძიებათა წყაროები, ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა, გარემოზე მავნე ზემოქმედების მასშტაბები და დაცული ტერიტორიების დაქვემდებარების დონე. ამ დარგში ადგილობრივი ოვიმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებია: მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით; მიწათსარგებლობის დაგეგმვა ოვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად, ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა.

გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის (მდგრადი განვითარების სტრატეგია) გარდა კანონი „გარემოს დაცვის შესახებ ითვალისწინებს ყოველ 5 წელიწადში გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების მომზადებას, რაც, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციაა. მიუხედავად კანონით განსაზღვრული ასეთი ვალდებულებებისა, სამწუხაროდ, მდგრადი განვითარების სტრატეგია ქვეანაში არ შემუშავებულა. თუმცა, მომზადდა და შესრულდა ასევე კანონით განსაზღვრული საქართველოს გარემოსდაცვით მოქმედებათა პირების ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავდა 2000–2004 წლებს, მასში ასახული იყო იმ პერიოდის ეკოლოგიური პრობლემები, პრიორიტეტები და შესაბამისი ღონისძიებები. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ღონისძიებები ღონორი ქვეყნების ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მსარდაჭერით განხორციელდა. ხოლო, რაც შეეხება გარემოსდაცვით მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამას, მისი პროექტი დასრულებულია. ამ ოფიციალურ დოკუმენტში, წარმოდგენილია საქართველოს გეგმები გარემოს დაცვის სფეროში 2011–2015 წლებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სამ წელიწადში ერთხელ წარმოადგენს ეროვნულ მოხსენებას – ანაგარიშს გარემოს მდგრამარეობის შესახებ, სადაც ასახულია ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, წარმოდგენილია ინფორმაცია გარემოს სარისხობრივი მდგრამარეობის, მიმდინარე გარემოსდაცვითი პროექტებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ. ბოლო ანგარიში გარემოს მდგრამარეობის შესახებ შემუშავდა 2010 წლს და მოიცავს 2006–2009 წლებს. ღოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი მასშტაბები.

გარემოს დაცვის სფეროში ქვეყნის კანონმდგებლობით დადგენილი ვალდებულებების გარდა, საჯარო მმართველობა ითვალისწინებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასაც. დღეისთვის ამ სფეროში საქართველო 15 საერთაშორისო კონვენციასთან არის მიერთებული. ეგროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის გადრმავების მიზნით,

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აგრძელებს მუშაობას 10-ზე მეტ საერთაშორისო შეთანხმებაზე.

2000 წელს გაეროს ათასწლეულის დეკლარაციაზე ხელის მოწერით საქართველომ ვალდებულება აიღო განსაზღვროს და 2015 წლისთვის განახორციელოს რვა მთავარი მიზანი ქვეყნის საჭიროების გათვალისწინებით. ეს მიზნები ძირითადად ითვალისწინებს სიღარიბის დაძლევას, საყოველთაო დაწყებით განათლებას და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფას და სხვა. თითოეული მიზნისთვის შემუშავებულია პრიორიტეტები და მაჩვენებლები.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკურსა და საქართველოს შორის ასოცირებულ შეთანხმებაზე გარემოს დაცვის სფეროში, რაც მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაძლიერებას გარემოსდაცვით საკითხებში და მდგრადი განვითარებისა და „მწვანე“ ეკონომიკის ხელშეწყობას. ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს არა მარტო ადამიანისა და ეკოსისტემებისათვის შესაბამისი გარემო პირობების უზრუნველყოფას, არამედ გარემოსდაცვითი მმართველობისა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას, რაც ესოდებ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონისა და, ზოგ შემთხვევებში, საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც.

საქართველო ომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, კარგად ჩანს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაში გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონკრეტის მხარეთა ე-16 კონფერენციაზე მექსიკის ქალაქ კანკუნში 2010 წლის 8 დეკემბერს. მისი თქმით, ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, შეუძლია კლიმატის წინააღმდეგ განახორციელოს მდგრადი განვითარების პრიციპებზე დაფუძნებული ქმედებები და ამით სამოდელო ქვეყანა გახდეს. პრეზიდენტმა ჩამოთვალა ის კონკრეტული ნაბიჯები, რაც ჩვენ ქვეყნას აქვს გადადგმული კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში: ჩვენი დედაქალაქი, თბილისი მიუერთდა ეკონომიკურის ინიციატივას „მერების შეთანხმებას“, რაც ითვალისწინებს 2020 წლისთვის სათბურის ეფექტის მქონე გაზების გმისის მკეთრად შემცირებას; საქართველო წარმატებით ავითარებს განახლებადი ელექტროენერგიის პროგრამას (ელექტროენერგიის წარმოების 80%-ზე მეტი

ენერგიის განახლებად წყაროებზე მოდის); რაც მთავარია, 2011 წლიდან საქართველოს ხელისუფლება იწყებს ტრადიციული მანქანების ელექტრომანქანებით ჩანაცვლებას ოფიციალური უწყებებისა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

გარემოს დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკული პროგრამების წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის მხარდაჭერაზე. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას გათვითცნობიერებული აქვს თუ რას ითვალისწინებს, რა კომპონენტებს მოიცავს ეს პროგრამები და რა შედეგებია მოსალოდნელი მათი განხორციელების შემთხვევაში. ეკოლოგიური განათლება ეხმარება ქვეყნის მოსახლეობას გარემოსდაცვითი და მასთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენაში, შესწავლაში და მათ აღმოფხვრაში.

ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობა გარემოს დაცვისა და მდგრადი მენეჯმენტის საქმეში საყვაელთაოდაა აღიარებული. ეს ხაზგასმით აღინიშნა 1992 წლის რიო დე ჟანეიროში გაეროს მიერ გამართულ გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე („დღის წესრიგი – 21“) და UNESCO-ს 1997 წლის დოკუმენტში „განათლება მდგრადი მომავლისათვის“.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №538-ით 2002 წლის 18 სექტემბერს მიღებულ „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამაში“ ნათქვამია, რომ: „ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, დირექულებებს და უნარ-ჩვევებს, რისი საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესების საქმეში; იგი არის უმნიშვნელოვანესი სოციალური სტრატეგია, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავს ცოდნას საკუთარი საარსებო გარემოს შესახებ, აქვს შეფასების უნარი, ფლობს გარემოსთან ურთიერთობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და გამომუშავებული აქვს ძირითადი განწყობა-დამოკიდებულებები“.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ეს უფლება განმტკიცებულია ორპუსის კონვენციით – „კონვენცია

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოხაწილეობისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის „შესახებ“. კონვენციის თანახმად გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას როგორც გარემოს ელემენტების შესახებ, ასევე იმ ფაქტორებზე, საქმიანობებსა და დონისძიებებზე, რომლებიც მოქმედებენ ან შესაძლოა იმოქმედონ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

ორპუსის კონვენციის მე4 და მე5 მუხლები გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო სტრუქტურებს აკისრებს შემდეგ ვაღლებულებებს:

- საჯარო დაწესებულებები უნდა ფლობდნენ და ანახლებდნენ მათ ფუნქციასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვითი ინფორმაციას;
- ინფორმაციის მიწოდების პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი;
- ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს, როგორც მოთხოვნის საპასუხოდ, ისე აქტიური გაერცელების მიზნით.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კონვენციის ორი დანარჩენი პუნქტის – გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საფუძველია.

საქართველოს კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ გარემოებულ სფეროებში ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას საქმიანობათა გადაწყვეტილებების მიღებისას, კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცესში. საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას და გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობას უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ძირითად ამოცანად კვლავ რჩება მდგრადი ბუნებათსარდებლობის პრინციპების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ჩართულობა, დაცული

ტერიტორიების განვითარება და საერთაშორისო  
ურთიერთობების გაღრმავება.

## ლიტერატურა

### References:

1. SaqarTvelos kostitucia. Gamomcemloba „raizi“, Tbilisi, 2005.
2. SaqarTvelos kanoni „garemos dacvis sesaxeb“. Tbilisi, saqarTvelos parlamentis uwyebani, 1997 weli - N1 – 2.
3. SaqarTvelos mTavrobis 2004 wlis 12 ivnisis №50 dadgenileba „SaqarTvelos garemos dacvisa da bunebrivi resursebis saministros debulebis damtkicebis sesaxeb“.
4. Gaeros klimatis cvlilebis carco konvenciis mxareta me-16 saertasoriso konferenciis masalebi. Meqsika, Kankuni. 2010 wlis 8 dekemberi.
5. „Mosaxleobis ekologiuri ganatlebis saxelmwifo programis sesaxeb“. SaqarTvelos prezidentis brzanebuleba №538, 2002wlis 18 seqtemberi
6. Konvencia „garemosdacvit sakitxebtan dakavsirebuli informaciis xelmisawvdomobis, gadawyvetilebebis mirebis procesSi monawileobisa da am sferosi martlmsajulebis sakitxebze xelmisawvdomobis sesaxeb“. MinistrTa meotxe konferencia „garemo evropisatvis“. Orhusi, Dania, 1998 wlis 25 ivnisi. Ratificirebulia saqartvelos parlamentis mier 2000 wlis 11 teberylis dadgenilebit (saqartvelosakanonmdeblo macne, nawili III, №12, muxli 109).

**Tamar Revazishvili**

**Public Administration for Ecology**

### Summary

Public administration for the area of nature management and environmental protection is the component part of the Single State Administration System. The role of Public administration in the mechanism of environmental protection is determined by importance of those competent state structures, which have special lawful and administrative means to realize the requirements in accordance with ecological legislation.

Many scientists suggest that today the function of the government, which is directed towards rational using of natural resources, environment protection and adoption of new waste-free technologies, has a social character, because state activities for ecology are realized according to the interests of the community and future generations as it determined by the conception of sustainable development.

For many countries, including Georgia, consideration of ecological and social problems have turned into the main institutional challenges since “sustainable development” became the leading principle of the world community development.

The Constitution of Georgia and the Georgian law “About Environment Protection”, which has been accepted in 1996, made the foundation for working out of the policy for environment protection and nature management and established the general rules of environment protection and using of natural resources.

According to the regulations accepted on the base of the resolution #50 of the 12<sup>th</sup> of June, 2004 of the government of Georgia. The Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia is a governmental institute of the executive authority of Georgia, which provides public administration in the sphere of environment protection, rational using of natural resources and ecology security of the population.

The legislation of Georgia foresees and pays a great attention to the international collaboration for the sphere of environment protection. Today Georgia is accessed to 15 international conventions and has to access to the 10 international treaty.

Implementation of a single state policy and practical programs of environment protection considerably depends on supporting of the population. The experience of nature management activities showed that the success is possible to achieve only in case of harmonic action of the State and ecologically educated population.

The main task of the Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia still is the supporting of principles of sustainable development of nature management, the rising of nature protection measures, participating of the community in this process, development of protected territories and international relations' deepening.

**Keywords** – environment protection, nature management, state structure, ecological legislation, waste-free technologies, sustainable development, climate changing, ecological education, convention of Orhuss.

**Reviewer:** Professor Zizi Svanidze, Georgian Technical University

**Ревазишвили Тамара Николаевна**

**Государственное управление в сфере экологии**

## Резюме

Государственное управление в области природопользования и защиты окружающей среды является составной частью единого Государственного управления. В этой сфере роль государственного управления в механизме защиты окружающей среды определяется значением тех компетентных государственных органов, которые имеют значительные правовые и административные средства для реализации требований в соответствии с экологическим законодательством.

На сегодняшний день государственная функция, направленная на рациональное применение природных ресурсов, на защиту окружающей среды и на внедрение в производство новых безотходных технологий, многими учеными признана как общесоциальная, ввиду того, что деятельность государства в сфере экологии осуществляется в соответствии с интересами общества и будущего потомства, в той степени как это предусматривает устойчивое развитие.

После того, как «устойчивое развитие» стало основным принципом развития мировой общественности, для многих стран рассмотрение экологических аспектов вместе с социальными аспектами стало одним из главнейших институциональных вызовов. С этой стороны Грузия тоже не является исключением.

Конституция Грузии и закон Грузии «О защите окружающей среды», принятый в 1996 году, создает основания для разработки политики по охране окружающей среды и защите природных ресурсов и устанавливает общие законы по их защите и использованию.

В соответствии с принятым на основании №50 постановлением правительства Грузии от 12 июня 2004 года положением, Министерство по охране окружающей среды и природных ресурсов Грузии является государственным учреждением исполнительской власти Грузии, которое обеспечивает государственное управление в сфере защиты окружающей среды и рационального использования природных ресурсов и экологической безопасности населения.

Законодательство Грузии предусматривает и большое внимание уделяет международному сотрудничеству в сфере защиты окружающей среды. На сегодняшний день Грузия присоединена к 15 международным конвенциям, работа идет еще на присоединение к 10 договорам.

В области защиты окружающей среды успешное осуществление единной государственной политики и практических программ в значительной степени зависит от поддержки населения. Опыт деятельности по природоохранным мероприятиям показал, что достижение успеха возможно только в результате гармоничных действий государства и экологически просвещенного населения.

Основной задачей министерства Грузии по охране окружающей среды и природным ресурсам опять остается поддержка принципов устойчивого развития природопользования, повышение природозащитных мероприятий, включение общественности в этот процесс, развитие охраняемых территорий и углубление международных отношений.

**Ключевые слова:** защита окружающей среды, природопользование, государственный орган, экологическое законодательство, безотходные технологии, устойчивое развитие, экологическое просвещение, конвенция Орхуса.

**Рецензент:** профессор Сванидзе Зизи Самуиловна, Грузинский технический университет

## მარინა თაბატაძე საარჩევნო სტრატეგია – სოციუმის პოლიტიკური შეთავაზება

თანამედროვე ქართული პოლიტიკური რეალობა სისტემური კრიზისის ნიშნებს ატარებს, რაც საზოგადოების ძირითადი ნაწილის ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში და, შედეგად, მის მიმართ მოქალაქეთა გაუცხოებაში ვლინდება, მწვავდება სოციალური დაბაბულობა, ყალიბდება სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია არსებული ვითარების ლატენტური მიუღებლობა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი საწინააღმდეგო განწყობა მასებში, ოუმცა, ასეთი დამოკიდებულება მუდამ არ გადაიზრდება კრიზისში, მოსახლეობის საპროტესტო განწყობა უპირობოდ არ ნიშნავს, რომ ასევე მაღალი იქნება პროტესტის რეალური დონეც. უკამაყოფილებასა და მის რეალიზაციას შორის არსებობს მნიშვნელოვანი ზღვარი, რაც აფერხებს სისტემური კრიზისის ჩამოყალიბებას. იმ ფაქტორებიდან, რომლებიც ანეიტრალუებენ სოციალურ დაბაბულობას, აღსანიშნავია შემდეგი:

– შეინიშნება მოსახლეობის დაღლა ყოველგარი რევოლუციური რეაციების მიმართ, რადგან რადიკალური ცვლილებების ეფექტი უმნიშვნელოა, მოლოდინი – დაუქმაყოფილებელი, ნეგატიური შედეგები კი – საგრძნობი. ფართო მასებს ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილს ხდის „მორჩილი უმრავლესობის“ სინდრომიც, მათ განწყობებში სოციალური პესიმიზმი ჭარბობს, დარიბი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, არ აპირებს დახმარებისათვის სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვას;

– მნიშვნელოვანია დაბაბულ სოციალურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის რეზერვები. ის თანდათან ეგუება კრიზისულ ვითარებას, სასიცოცხლო სტანდარტების დაქვეითებას. ცხოვრებისეული სიძნელეები და ამით გამოწვეული სოციალური დეპრესია, ერთმანეთს აშორებს ადამიანებს, რის გამოც საპროტესტო მოძრაობა არ გადადის აქტიურ ფაზაში, ასეთ გარემოში რეალური პროტესტი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ გარკვეული პოლიტიკური

იდეის, კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის ირგვლივ. იმ პოლიტიკური სუბიექტების არსებობა, რომელთაც შეეძლებათ საპოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელობა, დეპრესიული სოციუმის გაერთიანება და სიტუაციის კონტროლირება, ქმნის საზოგადოების სოციალური გააქტიურების წინაპირობას, რაც დამატებით მოითხოვს განსაკუთრებულ ორგანიზებას და აქტიურ ქმედებას.

სოციალური აფეთქების საბაზი შეიძლება მოულოდნელად წარმოიშვას. ეს არის უმართავი პროცესი, რომელიც რევოლუციის სახეს იდებს, იგი აჩქარებს საზოგადოების და სახელმწიფოს შემდგომ დაშლას. ნებისმიერ რდგვევას მოყვება ქაოსი სისტემის შემადგენელი ელემენტების ტრანსფორმაციისათვის საჭირო დროის შეალებული პერიოდით, მაგრამ დრო ამოწურვადი და დეფიციტური რესურსია, ადამიანებს არ სურთ ცხოვრება გაურკვეველი მომავლის მოლოდინში, ამიტომ სწრაფად უნდა მოიძებნოს ცივილიზებული გზები და კონფრონტაციის დასაძლევად. ამ პრინციპის რეალიზებას ემსახურება არჩევნების დამოკრატიული ფორმით ჩატარება სამართლიანი კონკურენციის მოხსოვნების და ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების სრული დაცვით, ამასთან, აუცილებელია თვით არჩევნების იდეის დაგალვაციის მიზეზების გამოკვლევა და მათზე პოლიტიკური ელიტის სწორი რეაგირება, რადგანაც თავად პოლიტიკური ელიტაა ის დომინირებადი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომლის ხელშიც არის კონცენტრირებული მაღალუფლების აბსოლუტურად უდიდესი რესურსი და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზების ძირითადი ფუნქციები.

კონკურენტულ გარემოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის დროს აუცილებელია მოქალაქეთა ქცევის გამსახულებრივი საზოგადოებრივი მოხსოვნების შეჩრავლა. განსაკუთრებით აქტუალურია ამომრჩეველთა ინტერესების კვლევა. პოლიტიკური პარტიები კარგად უნდა იცნობდნენ მათ და უნდა შეეძლოთ მოქალაქეებზე ეფექტური ზემოქმედების მოხდება რეკლამის, აგიტაციის თუ პროპაგანდის გზით. ზემოქმედების ეს კომუნიკაციები მმართველობითი პოლიტიკის მექანიზმებია, რომელთა გავლენითაც პოლიტიკური მენეჯმენტის კონკრეტული ფორმები ყალიბდება.

ნებისმიერი სისტემის ოპტიმალური მოდელი პოლიტიკური ქცევის რაციონალურობის იდეას ემყარება. რაციონალიზმი პოლიტიკაში დღეს, სამწუხაროდ, არა იდეებისათვის ბრძოლას, არამედ, უპირატესად, მერკანტილურ მიღღომებს გულისხმობს. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სამოქალაქო თანხმობის მნიშვნელოვან დეფიციტს მისი სუბიექტების ინტერესთა რადიკალური დაპირისპირება განაპირობებს. კლასიკური გაგებით, პოლიტიკოსი საზოგადოებრივი შეკვეთების შესრულებას ემსახურება, სამოქალაქო პირები კი სიმდიდრეზე ორიენტირებული კერძო ინტერესებით ხელმძღვანელობენ. ასეთმა რადიკალიზმა ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიის გარკვეული დაპირისპირება შეიძლება გამოიწვიოს, რაც სისტემის დესტრუქციას იწვევს და ამძაფრებს დისპროპორციებს სოციალური ფენების საბაზო პოზიციონირებაში.

პოლიტიკური წარმატება ენდოგენური ფაქტორია, რომლის მიღწევაც, არსებოთად, ცალკეული პიროვნების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. პოლიტიკური ქცევის რაციონალიზმი სუბიექტების ეგოცენტრული ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს და აუცილებლად ითვალისწინებდეს მას საარჩვნო პროცესებში. ადამიანში ყველაზე ძლიერი ფსიქოლოგიური კომფორტის მოთხოვნილებაა, მისი დაკმაყოფილება ცხოვრების დონის ზრდას და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზებაში არსებულ შესაძლებლობებს უკავშირდება, სწორედ ეს არის არჩევნებში ადამიანთა მონაწილეობის ძირითადი მოტივაცია. საარჩევნო კამპანია პოლიტიკოსთა მხრიდან აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ საკითხების დარეგულირებას, რითაც შესაძლებელი გახდება სამოქალაქო თანხმობის მიღწევა და პოლიტიკური არასტაბილურობის პრევენცია.

საარჩევნო პროგრამა, რეალურად, კონკრეტული მიზნობრივი აუდიტორიისათვის უნიკალურ პოლიტიკურ შეთავაზებას წარმოადგენს, იგი უნდა ემყარებოდეს პრობლემათა რანჟირებას და მათ დივერსიფიკაციას მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის. პოლიტიკური ნოვაცია უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ელექტორატის ქცევის განმსაზღვრელია არა კონკრეტული კანდიდატის

არჩევა, არამედ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კითარების შეცვლა. ამ მიზნების ჩართვა პარტიათა პროგრამებში, როგორც წესი, საზოგადოების მხრიდან, სულ მცირე, დოიალურ დამოკიდებულებას მაინც იწვევს მათდამი, რაც ასუსტებს სოციალური დაძაბულობის მუხტს ქვეყანაში. ამომრჩევლისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი პრობლემატიკით დატვირთული თემატიკა, რომელთა შეფასებას და სავარაუდო შედეგების განსაზღვრას უნდა ახდენდნენ პოლიტიკური ბაზრის სუბიექტები.

„სოციალურ გარემოში შეთავაზებათა ადაპტირებისასთვის საჭიროა უკუკავშირის სისტემის ორგანიზება, ამით ხდება ამომრჩეველთა მოტივაცია, რაც ეხმარება მათ წარმოსახებაში კანდიდატის პოზიტიური იმიჯის შექმნასა და სასურველობის სიმბოლიზებულ აღქმაში“ [მაცაბერიძე მ.-საარჩევნო კამპანიის მენეჯმენტი, თბ. 2008]. სწორი საარჩევნო სტრატეგიის შემუშავება საზოგადოების მხრიდან ატიური მხარდაჭერის და საბოლოო წარმატების არსებითი ფაქტორია.

როგორც ჩანს, ახალი ავტორიტეტული პოლიტიკური ელიტის გარეშე შეუძლებელია იქნება პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია, ეს საკითხი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია პოლიტიკურ დაპირისპირებათა მართვის პროცესში. ელიტის სრულყოფას დიდად შეუწყობს ხელს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ გამოხენილი და ცნობადი ინტელექტუალების ჩართვა, რომლეთა აზრი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. მეცნიერული სიახლეები პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რანგში უნდა იყოს აყვანილი და სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემა სწორების მეცნიერულ კვლევებს უნდა დაემყაროს.

რისკის ღირებულების განმარტება არაკონსტრუქციულია, ის განსაზღვრავს იმ თვისებებს, რომლებიც რისკის ღირებულებას უნდა პქონდეს, მაგრამ არა იმას, თუ როგორ უნდა იქნას გამოთვლილი ეს ღირებულება. უფრო მეტიც, განსაზღვრებაში დიდი ადგილია ინტერპრეტაციისათვის. მას მივყავართ რისკის ღირებულების ორ ფართე ტიპითა: ერთი, რომელიც უპირველესად გამოიყენება რისკების მართვაში და მეორე - რისკების გაზომვისათვის. მათ შორის განსხვავება არც ისე მკვეთრია, თუმცა პიბრიდული ვერსიები გამოიყენება ფინანსურ კონტროლში, ფინანსურ ანგარიშგებაში მარეგულირებელი კაპიტალის გამოთვლის დროს.

რისკების მენეჯერისათვის რისკის ღირებულება წარმოადგენს სისტემას და არა ციფრს, სისტემა პერიოდული თანმიმდევრობით იმართება და გამოქვეყნებული ციფრები დარღება ფასთა გამოთვლილ ცვალებადობასთან მიმართებაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში. არ არსებობს რაიმე სათანადო შემდგომი რეგულაცია რისკის ღირებულებაში და არ არსებობს მკაფიო განსხვავება რისკის ღირებულების წყვეტაში, რომელიც გამოწვეული შეიძლება იყოს პროცესში დაშვებული შეცდომებით, მათ შორის: საინფორმაციო ტექნოლოგიური გრძნით, მოტყუებით, გაყალბებით და სხვა. აგრეთვე,

შეცდომებით რისკის დირექტულების არადროულ დაანგარიშებაში და საბაზრო ცვლილებებით.

სისტირული ახალი იკონები აცხადებენ, რომ რისკის დირექტულების გრძელვადიანი სისტირული წევეტები შესაძლოა უდრიდეს კონკრეტულ ალბათობას, შემთხვევითი შერჩევის შეცდომების ფარგლებში და რომ, რისკის დირექტულების ალბათობა დამოუკიდებელია დროისა და რისკის დირექტულების დონისაგან. ეს განაცხადი დასტურდება უკუტესტირების მეშვეობით, როდესაც ხდება შედარება გამოქვეყნებულ რისკის დირექტულებასა და რეალურ ფასთა ცვალებადობას შორის. ამ ინტერაქტიული ბეჭრ სხვადასხვა სისტემას შეუძლია გამოითვალის რისკის დირექტულება უკუტესტირების მეშვეობით, თუმცა დიდია აზროთ სხვადასხვაობა რისკის დირექტულების ყოველდღიურ შეფასებზე.

რისკების შეფასებისათვის კი საჭიროა ციფრები და არა სისტემა. არსებობს ბაიაზის ალბათობის ოეორია, რომლის თანახმადაც დროის მოცემულ მომენტში არსებული ინფორმაცია და შეხედულებები წარმოადგენს კონკრეტული დონის სიბიექტურ ალბათობას რისკის დირექტულების ვარდნის შემთხვევაში. რისკის დირექტულების მიმართვა დაანაკარგებისა და გაზიგარიშებების შეცდომების შესასწორებლად ხდება მას შემდეგ, რაც ფაქტი მოხდა და არა იმ ინფორმაციის შერწყმის შემდეგ, რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი გამოივლის მომენტში. ამ კონტაქტში უკუტესტებს სხვა დატვირთვა აქვთ. ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს შედარება გამოქვეყნებული, მოსალოდნელი რისკის დირექტულებისა საბაზრო ცვლილებებთან დროის იმ მონაკვეთზე, როცა სისტემა მოქმედებდა, რისკის დირექტულება ითვლება რეტროაქტიულად-უკუპევით იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ჩანიშნული იყო იმ დროის მონაკვეთში, როცა ეს მონაცემები აქტუალური იყო ან ითვლებოდა დირექტულად. რისკის დირექტულების გამოსათვლელად გამოიყენება ის მონაცემები და განფასების მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ ფასთა ცვალებადობას. თუმცა, ზემოაღნიშნულ წყაროთაგან ზოგიერთი რისკის დირექტულების მხოლოდ გარკვეულ სახეობას მიიჩნევს სწორად - მათგან კველაზე უფრო თანამედროვენი მიიჩნევენ, რომ რისკის დირექტულება უაღრესად გამოყენებადია მოქლევადიანი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად მაშინ, როცა რისკების მართვის რისკის დირექტულება გამოყენებულ უნდა იქნას წარსული მოვლენების გასაანალიზებლად და

## შუალედური სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად მომავალში.

იბ შემთხვევაში თუ რისკის ღირებულება გამოიყენება ფინანსური კონტროლის ან ფინანსური ანგარიშგებისათვის ის უნდა აერთიანებდეს ორივე ამ ელემენტს. მაგალითად თუ კი კომერცია, ვაჭრობა ეყრდნობა რისკის ღირებულების ლიმიტს, რომელიც წარმოდგენს როგორც რისკების მართვის (თუ რა დასაშვები რისკები არსებობს დღისათვის), აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდში ვაჭრობის რისკებზე მორგებული მოგების რისკების გამოთვლის წესს.

### რისკის ღირებულების მართვა

რისკის ღირებულებაზე დაფუძნებული რისკების მართვის მეთოდის მიმღევრები, ხდობას უცხადებენ რისკის ღირებულების გამოთვლის მეთოდის გაუმჯობესებას და ხედავენ მასში ფართო შესაძლებლობებს, რამაც შესაძლოა გააუმჯობესოს სისტემა და თვლიან, რომ ის გამოყენებული უნდა იქნას, როგორც საუკეთესო ინსტიტუციური მოდელი.

რისკის ღირებულების უდიდესი სარგებელი მდგომარეობს მის გამოყენებაში რისკების კრიტიკულად გასაანალიზებლად. კომპანიები, რომლებიც გაივლიან რისკის ღირებულების გამოთვლის პროცესს, იძულებული ხდებიან შეეწინააღმდეგონ მათ წინაშე მდგარ ფინანსურ რისკებს და შექმნას ძლიერი რისკების მართვის სისტემა. ამდენად რისკის ღირებულების გამოთვლის პროცესი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მისი საბოლოო მნიშვნელობა.

ყველდღიური ციფრის დროული გამოქვეყნება შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლებით, ხელს უწყობს ორგანიზაციის მიახლოებას უმაღლეს სტანდარტებთან. უნდა შეიქმნას ალტერნატიული დაცვითი სისტემები და მოხდეს სავარაუდო რისკების გასაზღვრა. გაუქმდეს ის პოზიციები, რომლებიც არასწორად არის შეფასებული და დაგეგმილი, ისევე, როგორც წარმალოს არასწორი, დაგვიანებული და უსარგებლო მონაცემები. ყველაფერი, რაც არ არის ასახული ანგარიშებში და გავლენას ახდენს მოგება-ზარალზე თავს იჩენს ან რისკის ღირებულების ინფლაციაში ან გადაჭარბებული რისკის ღირებულების ვარდნაში.

“ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც შეგნებულად არ ანგარიშობს რისკის ღირებულებას/ზღვარს შეუძლია თავიდან აიცილოს კატასტროფა, ხოლო ის, რომელსაც ეს არ შეუძლია გერ აიცილებს მას”.

რისკის დირექტულების მეორე სარგებლობა არის ის, რომ იგი რისკების ორ რეჟიმს გამოყოფს. რისკის დირექტულების შიგნით ტრადიციული სტატისტიკური მეთოდებიც წარმოადგენერირება საიმედო წევაროს. შედარებით მოკლევადიანი სპეციფიკური მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანალიზის პროცესში. ალბათობის შეფასებას აქვს აზრი, რადგანაც არსებობს საკმარისი მასალა მათ გადასამოწმებლად. გარევულწილად არც არსებობს რისკი, რამდენადაც თანამედროვე კომპანიების ხელთაა ბევრი დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგი. მაგალითად კაზინოსთვის არა აქვს მნიშვნელობა რა ფერის ქვები ამოვა შემდეგ ჯერზე.

რისკის მენეჯერები ხელს უწყობენ მსგავს რეჟიმში პროდუქტიულ რისკებზე წასვლას, რადგანაც მათი რეალური დირექტულება ძალიან დაბალია. როგორც წესი, მსგავს რისკებზე ადამიანები ძალიან ბევრს ფიქრობენ, რადგან ეს რისკები ხშირია, მაგრამ არ ფიქრობენ საკმარისად იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს უარეს შემთხვევაში.

რისკის ზღვარის ჩარჩოებს მიღმა ყველა აზრი უძლეურია. რისკების ანალიზი უნდა მოხდეს მიზანმიმართული სტრესს ტესტების მეშვეობით გრძლევადიანი და ფართომასშტაბიანი საბაზო მონაცემების საფუძველზე. ალბათობა ამ შემთხვევაში აზრს მოკლებულია. რისკების მენეჯერმა უნდა მოახდინოს კონცენტრირება ხწორი გეგმის ჩამოყალიბებაზე, რათა შეამციროს ზარალი ან უკიდურეს შემთხვევაში გადაარჩინოს კომპანია თუ კი ზარალის აცილება ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რისკების მართვა, მისი დირექტულების დადგენა და ზღვარის კონტროლი თანამედროვე მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის წარმატებული დაგეგმვა-განხორციელება საქმიანობის წარმატებულობის პირდაპირპროპორციულია.

## ლიტერატურა:

### References:

1. Jorion, Philippe (2006). *Value at Risk: The New Benchmark for Managing Financial Risk* (3rd ed.). McGraw-Hill. [ISBN 978-0071464956](#).
2. S.A. Zenios and W.T. Ziemba (editors), *Handbook of Asset and Liability Management*, Volume 1 in Series of Handbooks in Finance, Elsevier Science B.V., 2006.

**Maia Guntsadze**

**Definition and Management of Value at Risk**

**Summary**

In Financial Mathematics and Financial Risk Management the Value at Risk (VaR) is a widely used unit to measure risks of the loss of portfolio of concrete financial assets.

Value of Risk is defined as a marginal unit, acting above which creates and increases the risk of bankruptcy and/or failure. Probability of Value at Risk is defined by the time horizon over the portfolio and reevaluates market price, being calculated irrespective to trade within the portfolio under normal market, by determining the Value of Loss at the level of given probability.

**Keywords:** Risks, Risk Types (financial, operational, legal, environmental, political), strategy, methods, hedging.

**Reviewer:** Professor Evgeni Baratashvili, Georgian Technical University.

**Гунцадзе Майа Михайловна**

**Определение и управление грани и стоимости риска**

**Резюме**

В менеджменте финансовой математики и финансового риска оценка/грань риска (**VaR – Value at risk**) широко использована с целью определения величины рисков проигрыша портфеля единиц определенных финансовых активов.

Оценка риска определяется, как такая ограниченная единица, выше которой деятельность создает и увеличивает риски банкротства и/или безуспешности. Стоимость риска определяется вероятностью с учетом горизонта времени на портфель и осуществляет переоценку рыночной стоимости, считается в нормальных рыночных условиях без учета текущей торговли в портфеле, установлением стоимости убытка на уровне данной вероятности.

**Ключевые слова:** стоимость/грань риска, потери, ущерб, управление, типы рисков (финансовый, операционный, юридический, внешний, политический), стратегии, методы, хеджирование.

**Рецензент:** профессор Бараташвили Евгений Шалвович , Грузинский технический университет.

**ნოდარ ცანაგა  
აღგილოპრიზი სოციალურ-ეკონომიკური  
დამმაშვილის და მართვის პროგნოზი**

თანამედროვე ეტაზე ქვეყანაში მეტად აქტუალურია და საჯაროდ განიხილება სხვადასხვა დონეზე ადგილობრივი ოკითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, რომელიც მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის, ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის და რამდენიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

ჩვენი დაინტერესების საგანი გახდა პროექტის მიერ წარმოჩენილი, ფისკალური დეცენტრალიზაციის ერთეული ისეთი, მეტად აქტუალური მიმართულება, როგორიცაა ადგილობრივი ოკითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და მართვის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სიღრმისეული შესწავლისა და შესაბამისი სრულყოფილი რეკომენდაციების მომზადების პრობლემები. აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივი ოკითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ მეტად დაბალია ოკითმმართველი ერთეულების ფაქტობრივი საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომელიც ეჭვის ქვეშ აქცენტს თვით ოკითმმართველობის იდეის რეალობას. ამ მიმართებით უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებული პრაქტიკის შემდეგ ნაკლოვანებებზე [1]:

ა) ჯერ კიდევ ძალზე მცირეა ოკითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსავლები;

ბ) მეტად უმნიშვნელო საკუთარი შემოსავლების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (საქართველოში ოკითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსავლების ხვედრითი წილი კონსოლიდირებულ ბიუჯეტში არ აღემატება 15 პროცენტს, ხოლო ქთბილისის გამოკლებით-4 პროცენტს. ევროპულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 25-60 პროცენტს);

გ) შეზღუდულია ოკითმმართველი ერთეულების კომპენტენციები ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების და მათი განკარგვის განსაზღვრის სფეროში. (ერთად ერთ ადგილობრივ გადასახადს დღეისათვის წარმოადგენს ქონების გადასახადი, რაც მთელი რიგი რეგიონების მიხედვით, რომელთა საწარმოო პოტენციალი შედარებით დაბალია, დღეისათვის უმნიშვნელოა. რაც შეეხება

სათამაშო ბიუჯესის გადასახადს, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის ყოფილ შემოსავალს, ის დღეისათვის გაუქმებულია.)

დ) პრადეკვატური პროპორციით არის განაწილებული საბიუჯეტო შემოსავლები საჯარო ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის.;

ე) ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის პროცესი დღეისათვის არ წარიმართება ერთიან (დახვეწილ) სოციალურ -ეკონომიკური გეგმებზე დაყრდნობით და სხვა [2].

ამ უკანასკნელ ნაკლოვანებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ საჭიროა გაფართოვდეს გუბერნატორების უფლებამოსილებათა წრე (რომელთაც დღეს არ გააჩნიათ შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა) და მათ მომავალში მიენიჭოთ დამატებითი კომანდონაციები, უწინარეს ყოვლისა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის სფეროში. რაც გახდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების საფუძველი, რომლის განკარგვაზე ასუხისმგებლობას აიღებს სწორედ სახელმწიფო რწმუნებულები-გუბერნატორები. შემდგომ ღონისძიებათა ნაწილში უფრო კონკრეტულად არის მითითებული, იმის თაობაზე რომ 2011 წლამდე უნდა ჩამოყალიბდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი ხედგა, რომელიც აისახება შესაბამის კონცეპტუალურ დოკუმენტში.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობებთან მიმართებაში დაფიქსირდა ანალოგიური პრობლემები და შესაბამისად შემუშავებულ იქნა წინადადებები ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების ერთიანი მეთოდიკით შედგენის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ჩვენის აზრით სასარგებლო და მისაღები იქნება ჩვენი წინადადებები აღნიშნული გეგმების შედეგის მეთოდოლოგიის განსაზღვრის, შესაბამისი ინდიკატორების დამუშავებისა და მონაცემთა ბაზის შექმნის სამუშაოებში [2].

კერძოდ, როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სფეროს სწორედ მუნიციპალური ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების შესწავლა და მის საფუძველზე შესაბამისი ეკონომიკური სტრატეგის შემუშავება წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს

თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს.

ამ შიმართულებით, როგორც ქვეყანაში არსებული მდგრმარეობის ანალიზი ცხადყოფს, აღგილობრვი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული პროგრამების შემუშავებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით დღეისათვის საქმაოდ ბუნდოგანი და გაურკვეველი ვითარებაა. ძალადაკარგულად ითვლება საქართველოს კანონი „ინიციატივი დაგეგმვის შესახებ“, აქედან გამომდინარე, ბოლო წლებში, ბუნებრივია, არ მუშავდება ასეთი გეგმების რეგიონული მაჩვენებლები. ამასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებს მოდელური აქტებით, რომლებიც უმყარება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 1998წლის №703 ბრძანებულების „ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – მერიის დებულების შესახებ“ 49 მუხლის მოთხოვნებს, მერიებს ევალებათ, შეიმუშაონ თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყოველწლიური სტრატეგიული პროგრამები, რომელთა საფუძველზეც შემდგომში უნდა შედგეს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი.

ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაგმა-პროგრამა უნდა შედგებოდეს სამი ძირითადი ნაწილისაგან: 1) ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული დონის ანალიზი; 2) ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა; და 3) შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით შესაბამისი დარგების კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება (რესურსები, ორგანიზაციული და სხვა სახის უზრუნველყოფის გათვალისწინებით). კანონის ამ მოთხოვნების მიუხედავად, საქართველოს რეგიონებში როგორც სამხარეო, ისე მუნიციპალურ დონებზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ასეთი პროგრამები არ მუშავდება ორგანიზებულად და სისტემებურად, ამასთავე, მკეთრად განსხვავებულია რეგიონების მიხედვით მათი შემუშავებისადმი მეთოდიკური მიდგომებიც.

ქვემოთ, თვალსაზინოებისთვის გთავაზობთ რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმა-პროგრამის ჩვენებულ, შეჯერებულ ხედვას, შემდეგი

შინაარსობრივი და ფუნქციური მახასიათებლებით. გეგმა-პროგრამა შესდგება ათი ძირითადი ნაწილისაგან:

**ნაწილი I.** რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება. იგი მოიცავს რეგიონის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას და ძირითად შედეგებს, გამოიყოფა აგრეთვე პრიორიტეტული პრობლემები, რომლებიც ექვემდებარება პროგრამულ გადაწყვეტას;

**ნაწილი II.** ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის მდგომარეობის შეფასება. მასში განიხილება რეგიონში არსებული სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი, ტყე, სანედლეულო, მინერალური, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა) რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა, გამოყენების შესაძლებლობები, ასევე რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებები.

**ნაწილი III.** რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობა და შრომის ბაზარი. ამ ნაწილში დახასიათებულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.

**ნაწილი IV.** რეგიონის საციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. ზემოთ დასახელებულ ნაწილებში შესრულებული ანალიზი წარმოადგენას გვაძლევს რეგიონის თანამედროვე მასშტაბსა და სამეურნეო სტრუქტურაზე, მის ტერიტორიულ-სამეურნეო ბაზასა და ეკონომიკაში გამოვლენილ დისპროპორიეტებზე, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებზე და ა.შ. რაც თავის მხრივ, საფუძვლად უნდა დაედოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავებას, სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბების უფლებითი გზების განსაზღვრას;

**ნაწილი V.** ძირითადი მიზნობრივი პროგრამები. ამ განყოფილებაში გამოიყოფა რეგიონისათვის საჭირო ძირითადი მიზნობრივი ქვეპროგრამები, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს დარგობრივი, ფუნქციური და პრობლემური ნიშებით. კერძოდ მათ განვალენება: სამრეწველო აგროსამრეწველო, საკურორტო-რეკრეაციული, სათბობენერგეტიკული, სამშენებლო, სოციალური, სატრანსპორტო და სხვა ქვეპროგრამები, რომელთა საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი მიზნები, ამოცანები, საბოლოო შედეგები;

**ნაწილი VI.** პროგრამის განხორციელების მექანიზმი. ამ ნაწილში გადმოიცემა ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსი, ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც

უზრუნველყოფები პროცედურების გადაწყვეტას. ეს მექანიზმები განისაზღვრება აღტერნატიული ვარტიანტების განხილვისა და შეპირისპირების საფუძველზე, შესაბამისი პროგნოზული მოდელების გამოყენებით;

**ნაწილი VII. პროგრამის რესურსები უზრუნველყოფა.** მოიცავს ფინანსურ რესურსებს (მიღების წყაროების გამოყოფით), მატერიალურ რესურსებს (პროდუქციის სახეობების მიხედვით), შრომით რესურსებს (პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფების მიხედვით) და ინფორმაციულ რესურსებს (დროის მიხედვით). რესურსების საერთო მოცულობიდან ცალკე გამოიყოფა საკუთარი წყაროების გამოყენებით მიღებული რესურსები.

**ნაწილი VIII. პროგრამულ დონისძიებათა კოორდინაცია.** ამ ნაწილში განისაზღვრება პროგრამის მონაწილე ორგანიზაციების შეთანხმებული ქმედების უზრუნველყოფის დონისძიებები;

**ნაწილი IX. პროგრამის განხორციელების უფასებიანობის მაჩვნებელთა გაანგარიშება და შეფასება;**

**ნაწილი X. პროგრამის მართვის ორგანიზაცია, ფორმები და მეთოდები.** ამ ნაწილში განისაზღვრება ორგანიზაციულ-ფუნქციური მართვის სტრუქტურა, რეგიონის და პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით;

წარმოდგენილი გეგმა-პროგრამის ეს ნაწილები მოიცავს საჭირო დასაბუთებასა და განმარტებებს. პროგრამა ფასდება ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვნებელთა სისტემით, რომელთაგან გამოიყოფა შემდეგი:

1. საბოლოო შედეგების უფასებიანობის შეფასების ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური და სხვა მაჩვნებელები;

2. ეფექტიანობის არაპირდაპირი, და შეფარდებითი მაჩვნებლები;

3. სპეციფიკური მაჩვნებლები, რომლებიც გაიანგარიშება პროგრამის თავისებურებებიდან და ხასიათიდან გამომდინარე;

4. პროგრამის ფარგლებში სამუშაოთა შესრულების მაჩვნებლები;

5. პროგრამის მომხმარებლებთა (კლიენტთა) შეფასების პარამეტრები;

6. პროგრამის ამოცანათა შესრულებისათვის საჭირო ფინანსური, ბუნებრივი, შრომითი, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა

რესურსების დანახარჯთა მაჩვენებლები.

პროგრამა, როგორც წესი, სტანდარტულად ფორმდება. სატიტულო ფურცლებზე მთითოვანული უნდა იყოს მხარის, ქალაქის, ადმინისტრაციის დასახელება; გამოცემის თარიღი; შეთანხმების ფურცელზე მიენიშნოს უწყებები და ორგანიზაციები, რომელთა თანხმობა აუცილებელია.

გეგმა-პროგრამის მომზადების პროცესში ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით შემუშავდება კონცეფცია და პროგნოზები. მუშაობის დამთავრების შემდეგ, მიმდინარეობს სამინისტროებისა და უწყებების დაფინანსების წყაროების ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ორგანოებთან, სამეწარმეო სტრუქტურებთან შეთანხმება; ასევე წარმოებს პროექტის ექსპერტიზა. მსხვილი რეგიონული პროგრამის პროექტის კომპლექსურ ექსპერტიზას ახორციელებს საექსპერტო საბჭო და ამტკიცებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს გეგმა-პროგრამის შემუშავებისა და მიღების პროცესების კავშირს საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებასთან. აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ყველა პროგრამის პრიორიტეტების, შესრულების ვალების, რესურსული წყაროებით უზრუნველყოფის გათვალისწინება. სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პროგრამები დაფინანსება ხდება სახელმწიფო, აგრეთვე, ტერიტორიულ ერთეულთა ბიუჯეტებიდან, ამასთანავე, აქტიურად გამოიყენება არასაბიუჯეტო წყაროებიც. რეგიონული პროგრამები მოიზიდავენ, აგრეთვე, პროგრამის მონაწილეთა შენატანებს, საწარმოს მოგებიდან მიზნობრივ ანარიცხებს, საბანკო კრედიტს, უცხოურ ინვესტიციებს და ა.შ. შესაძლებელია სპეციალური ფინანსური ფონდის შექმნაც და სხვა.

## ლიტერატურა

### References:

1. adgilobrivi TviTmmarTvelobis reformis saxelmwifo strategia, gamocemuli gaeros ganviTarebis programis (UNDA ) mxardaWeriT, sagazeTo publikaciebi 2009.U

2. adgilobrivi TviTmmarTvelobis subieqtebis socialur-ekonomikuri ganviTarebis strategia. avtorTa koleqtivi, rusTavelis fondis sagranto proeqtis (GNSF/ST 06/2-095) publikacia, 1-li etapi, proeqtis xelmZRvaneli prof. Nn.canava, gam. "universal," Tbilisi. 2007.
3. adgilobrivi TviTmmarTvelobis subieqtebis socialur-ekonomikuri ganviTarebis strategia. avtorTa koleqtivi, rusTavelis fondis sagranto proeqtis (GNSF/ST 06/2-095) publikacia, me-2 etapi, proeqtis xelmZRvaneli prof. Nn.canava, gam. "universal," Tbilisi. 2008.

**Nodar Tsanava**

**Problems of Local Social-Economic Planning and Control**

**Summary**

The article is about one of the most important directions of fiscal decentralization such as the problems of profound studying of methodological and practical aspects of planning and control of social-economic development of local self-government bodies and preparation of proper perfect recommendations. In connection with the above mentioned, according to the purposes of state strategy of the local self-government reform, it is clear that nowadays factual financial-economic independence of self-governing units is still low. As the result of this, the reality of the ideal of self-government itself is doubted. In this connection, first of all, the following defects of the existing practice should be highlighted:

- a) Budgetary incomes of a self-governing unit are still too little;
- b) The share of self incomes in budgetary incomes is extremely insignificant (in Georgia specific share of budgetary incomes of a self-governing unit in the consolidated budget does not exceed 15 per cent, and 4 per cent excluding Tbilisi. In European countries this index equals to 26-60 per cent).
- c) Competences of self-governing units in the sphere of introduction of local taxes and tariffs and defining their disposal is limited. (Nowadays one of the local taxes is property tax which is insignificant at present according to a number of regions the industrial potential of which is comparatively low. As for tax of gambling industry as the former income of local budget, it is cancelled at present).
- d) Budgetary incomes are distributed with inadequate proportion between the central, regional and local levels of the government;
- e) Nowadays the process of drawing up the local budget is not being carried out on the basis of (perfect) social-economic plans, etc.

It worth noting that even according to the results of the research carried out by us the same problems have been discovered in relation to local self-government bodies and offers have been elaborated, accordingly, in connection with the necessity of drawing up plans of social-economic development of local self-government bodies with joint methods. In our opinion our offers will be useful and acceptable to define the methodology of drawing up the mentioned plans, to process the appropriate indicators and to create a database.

The article offers the project of a complex plan-program of social-economic development of the region which contains ten major parts:

I. Analysis and Assessment of the Current Social-Economic Situation in the Region.

II. Assessment of the Natural Resources and Environmental Protection.

III. Demographic Situation and Labor Market in the Region.

IV. Concept of Social-Economic Development of the Region.

V. Main Target Programs.

VI. Mechanism of Program Implementation.

VII. Providing the Program with Resources.

VIII. Coordination of Program Events.

IX. Calculation and Assessment of Indices of Effectiveness of Program Implementation.

X. Organization, Forms and Methods of Control of the Program.

Each part of the presented plan-program is well-grounded and includes explanations.

The connection of processes of elaboration and approval of the plan-program with formation and implementation of budgetary policy is essentially important.

**Keywords:** fiscal decentralization, social-economic development, self-government, budgetary incomes.

**Reviewer:** Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

Цанава Нодар Иродионович

**Проблемы местного социально-экономического планирования и управления**

**Резюме**

Статья касается одного из наиболее актуальных направлений фискальной децентрализации, а именно, проблем глубинного изучения методологических и практических аспектов планирования и управления социально-экономического развития местного самоуправления и подготовки соответствующих полноценных рекомендаций. В связи с указанным, исходя из целей государственной стратегии реформы местного самоуправления, выясняется, что в настоящее время все ещё достаточно низкой является фактическая финансово-экономическая самостоятельность единиц самоуправления, которая ставит под сомнение реальность самой идеи самоуправления. В связи с этим, в первую очередь необходимо заострить внимание на следующих недостатках существующей практики.

а) все ещё очень низкими являются бюджетные доходы единиц самоуправления;

б) весьма незначительна в бюджетных доходах доля собственных доходов (в Грузии удельный вес бюджетных доходов единиц самоуправления в консолидированный бюджет не превышает 15 процентов, а исключая г. Тбилиси – 4 процента. Данный показатель в европейских странах составляет 25-60 процентов).

в) ограничены компетенции единиц самоуправления в сфере определения введения местных налогов и сборов и распоряжения ими (единственным местным налогом в настоящее время является налог на имущество, что согласно ряду регионов, чей производственный потенциал сравнительно низок, на сегодня незначителен. Что касается налога на игорный бизнес, как бывшего дохода местного бюджета, то сегодня он отменен).

г) в неадекватной пропорции распределены бюджетные доходы между центральными, региональными и местными уровнями публичной власти;

д) сегодня процесс составления местного бюджета не опирается на единый (усовершенствованный) социально-экономический план и др.

Примечательно, что аналогичные проблемы в отношении местного самоуправления также зафиксированы согласно результатам осуществленных нами исследований и, соответственно, были

выработаны предложения в связи с необходимостью составления планов социально-экономического развития по единой методике. По нашему мнению, будут полезны и приемлемы наши предложения по определению методики составления указанных планов, разработке соответствующих индикаторов и работы по созданию базы данных.

В статье представлен проект комплексного плана-программы социально-экономического развития, состоящий из двух основных частей:

Анализ и оценка существующего в регионе социально-экономического положения.

Оценка природных ресурсов и состояния охраны среды.

Концепция социально-экономического развития региона.

Основные целевые программы.

Механизм осуществления программы.

Ресурсное обеспечение программы.

Координация программных мероприятий.

Расчет и оценка показателей эффективности осуществления программы.

Организация управления программой, формы и методы.

Отдельные части представленного плана – программы содержат необходимые обоснования и разъяснения.

Принципиальное значение имеет связь разработки и процесса принятия плана-программы с необходимостью формирования и осуществления бюджетной политики.

**Ключевые слова:** фискальная децентрализация, социально-экономическое развитие, самоуправление, бюджетные доходы.

**Рецензент:** профессор Вагатуриая Георгий Шотаевич, Грузинский технический университет.

# ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ელა აშენიანი

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზანები და პრეზენცია

ქვეყნის მომავალი სწორედ იმით განისაზღვრება ოუროგორ ახალგაზრდობას ადზრდის ის დღეს. ამ ამოცანის გადაჭრა არ შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სკოლას ან ოჯახს დაეკისროს. მის გადაჭრას სახელმწიფოსაგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ამიტომაა აუცილებელი გაირკვეს და გაანალიზდეს ის მიზეზები, რაც განაპირობებს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენას, რათა აღარ განმეორდეს ძველი შეცდომები და უფრო ხარისხიანად და ეფექტურად მოხდეს დასახული მიზნების განხორციელება.

საზოგადოება ყოველთვის ექვბადა დანაშაულზე რეაგირების ოპტიმალურ საშუალებას, იმისათვის, რომ თავი დაეცვა დანაშაულისაგან, რომელიც ხდებოდა ან შეიძლება მომხდარიყო.

დანაშაულზე სოციალური კონტროლის პირველ ფორმად შესაძლებელია მივიჩნიოთ სისხლის აღება. იგი წარმოიშვა როგორც დამსჯელი ინსტიტუტი, რაც დამახასიათებელი იყო მონათმზღვებელური და ფორდალური საზოგადოებისათვის, მაგრამ შემდგომში დემოკრატიული საზოგადოების განვითარების კვალდეკვალ, სამაგიეროს გადახდის პრინციპი ეჭვებელ დადგა. პოპულალური გახდა ფრანგი განმანათლებლების იდეა იმის თაობაზე, რომ უფრო შედეგის მომტანია არა დამნაშავის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილება.

თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერება ორიენტირებულია სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზების აღმოფხვრაზე, რომ ადამიანებში, განსაკუთრებით მოზარდებში დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და დირექულებები. დანაშაულის პროფილაქტიკის თანამედროვე კონცეფციები მოგვიწოდებენ დამსჯელობითი ზომებიდან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ დახმარებაზე გადასვლისაკენ, განსაკუთრებით რისკ-ჯგუფების და ფსიქოლოგიურ-სოციალურ განვითარებაში გადახრების მქონე მოზარდებისათვის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ძირითად მიზეზებიც, რომლებიც დღეს მოქმედებს საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში. ნაშრომში განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორიცა: არასრულწლოვნის პიროვნება, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები, არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილების მექანიზმები და საქართველოში არსებული მდგომარეობა აღნიშნული ქუთხით.

### **ასრულწლოვნის პიროვნება და სპეციფიკური ნიშნები**

ასრულწლოვნის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებოს. მოზარდობის ანუ არასრულწლოვნობის ასაკი არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. ასრულწლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგარი შედეგია(ნაყოფია).

ასრულწლოვანი ასაკიდან გამომდინარე მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. ასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური პრობლემები პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ გადახრასთან, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნის დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზების კვლევისას, უპირველესყოვლისა, აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ არასრულწლოვნის ფსიქოლოგიას, ნებისყოფას, მოზარდის პიროვნებად ფორმირების კანონზომიერებებს. ეს კიდევ უფრო გაგეიადგილებს იმ ფაქტორების გამოკვეთას, რომლებმაც მოზარდს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგა.

გზა, რომელსაც ბავშვი დასრულებულ პიროვნებად ჩამოყალიბებამდე გაივლის არ მიმდინარეობს სწორხაზოვნად. იგი რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ საფეხურს შეიცავს. ზოგ საფეხურზე ბავშვის პედაგოგიური მართვა შედარებით ადვილია, ზოგზე კი ისეთ დაბრკლებას აწყდება რომლის წარმატებით გადალახვა დიდ აღმზრდელობით მუშაობას, საფუძვლიან მეცნიერულ ცოდნას და ფაქიზ პედაგოგიურ ტაქტს მოითხოვს.

11-12 წლის მოზარდებში, პიროვნების სულიერი ცხოვრების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. გარდატეხის პერიოდში მოზარდები აღინიშნება ეხერგის დიდი მოზღვავება, რომელსაც ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გათვალისწინების გარეშე სურს თავი იჩინოს (დაინარჯოს). მოზარდი საკუთარი “შე”-ს გამოჩენის მიზნით ხშირად ჩადის იხეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ბავშვი, რომელიც აქამდე მორჩილი და გამგონი იყო ერთბაშად იწყებს “აჯანყებას” უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ და ცდილობს მოქმედების სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიოს.

სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ამ ასაკის ბავშვებთან სხვდასხვა ძალით იჩენს თავს. ერთოთან იგი ზომიერ ფორმაში ვითარდება, მაშინ როცა მეორესთან ნიაღვარივით მოვარდება და უფროსებისძმი მორჩილების ყველა ფსიქოლოგიურ საფუძველს შლის და ანგრევს. მოზარდი განსაკუთრებით მოითხოვს მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, თანაგრძობას, ანგარიშის გაწევას, მას აბრაზებს და ცუდ განწყობაზე აყენებს მისი პიროვნების დამცირება და გაუფასერება.

როცა მოზარდი ჩაბმულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, მასში სოციალურად მისაღები ქცევის წესები და ნორმები ფიქსირდება, დადგებითი სოციალური შინაარსის ნებისყოფა მტკიცდება. მაგრამ ზოგჯერ მოზარდი სათანადო აღმზრდელობითი ზემოქმედების უქმარისობის გამო ვერ ერთვება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანიბაში. ვერ მიუვება სოციალურად მისაღებ ქცევის ნორმებს, არ ფიქსირდება მასში დადებითი ზნებრივი წესები, იწყება საზოგადოებისაგან მისი განსხვისება, წარმოიქმნება ერთგვარი სიცარიელე, რომლის შესასებად აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებიდან გადახრილ ჯგუფებთან დაკავშირება, გზა ეხსნება მიუღებელი ნორმების ათვისებას, ზნებრივად გაუმართლებელი აქტივობის უნარის განვითარებას. ასეთ ვითარებაში იქმნება მცირე სოციალური ჯგუფები, მოქმედებათა საკუთარი სტანდარტებით.

ასრულწლოვან დამნაშავეთა ძირითად ბაზას სწორედ ე.წ. როული ბავშვები შეადგენენ. მათვის დამახასიათებელია გარემოს მტრულად აღქმა და აღმზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა. მკვეთრად გამოხატული სიჯიუტ,

კაპრიზულობა, ღირებულებებისადმი უარყოფითი  
დამოკიდებულება. ისინი ხშირად უხეშები, ცინიკოსები,  
თავსედები არიან.

მნელადაღსაზრდელის პროტესტი ძირითადად  
შემდეგნაირად გამოიყერება: აქვს სწავლისადმი ნებატიური  
დამოკიდებულება, პერიოდულად აცდებს გაკვთილებს,  
თავშეუკავებელია, აგრესიული, ხმაურობს, ჩხეურობს  
ამხანაგებთან, არ ერიდება უწმაწურ გამოთქმებს, სიცრუეს,  
ეტანება ალკოჰოლს, სიგარეტს, ჯიბრზე არღვევს დისციპლინას.  
ცდილობს ყურადღება მიაქციოს გარეგნული ეფექტებით (ომის  
ვარცხნილობა, ჩაცმის სტილი, სიარულის მანერა, უარგონებით  
მეტყველება). იზიდაგს ფუქსავატური, მსუბუქი ცხოვრება,  
ქუჩაში უმიზებოდ ხეტიალი, მოსწონს ფილმები სუპერმენებზე,  
ძალადობაზე, აინტერესებს „შავი სამყაროს“ ცხოვრება, უარს  
არ ამბობს გამოძალვასა და წერილმან ქურდობაზე. აქედან კი  
დანაშაულამდე რამდენიმე ნაბიჯია. მარტივად რომ ვთქვათ,  
მნელადაღსაზრდელები დამნაშავეთა რეზერვია.

### **არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციული ღონისძიებანი**

პრევენცია ანუ პროფილაქტიკა დანაშაულობან და სხვა  
სამართალდარღვევასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა.  
მის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთა-აცილება.  
დანაშაულის პროფილაქტიკის უშუალო სუბიექტები არიან  
სამოქალაქო საზოგადოების პირველადი რგოლები: ოჯახი,  
შრომითი და სახწავლო პოლექტივები. ისინი უშუალოდ  
ზემოქმედებებს ადამიანზე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობებზე,  
ანუიტრალებენ კრიმინოგენურ სიტუაციას, ადგენენ და თავიდან  
იცილებენ კონკრეტული დანაშაულების მიზეზებსა და  
პირობებს და ახდენენ რეციდივის პროფილაქტიკას.

პროფილაქტიკა გულისხმობს ინფორმაციის შექრებას და  
ანალიზს, აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას.  
დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმის შემუშავებას, მის  
რეალიზაციას, მიღებული შედეგების შეფასებას.

პრევენციული საქმიანობა სამ ძირითად ასპექტს მოიცავს:  
საგანმანათლებლოს, ფსიქოლოგიურს და სოციალურს.  
საგანმანათლებლო ასპექტი გულისხმობს მოზარდებისათვის  
ისეთი ინფორმაციის გდაცემას, რომელიც ხელს უწყობს  
ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ამავე დროს

დაქმარება მოზარდებს თვითშემცნებისა და იდენტურობის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ასპექტიც, რომლის მიზანია ახალგაზრდისათვის ადეპტატური თვითშეფასების, კონფლიქტების მოგვარების, გადაწყვეტილების მიღების და სხვა ამგვარი უნარების ჩამოყალიბება და ბოლოს, სოციალური, რომელიც გულისხმობს მოზარდის სოციუმთან ადაპტაციის გაადვილებას.

### არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენცია საქართველოში

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს თანამედროვე სოციალურობის მდგრმარეობა ვერ ასუხებოს სათანადო მოთხოვნებს. მაღალია არასრულწლოვანთა დანასაულობის ხვედრითი წილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით 2004 წელს საქართველოში იყო 598 არასრულწლოვანი მსჯავრდებული მათ შორის 10 გოგონა, 2005 წელს 475 (6 გოგო), 2006 წელს 1002 (23 გოგო) 2007 წელს 1060 (34 გოგო), 2008 წელს 1166 (47 გოგო). პროცენტულად დიდია ქურდობის, ხულიგნობის, ნარკოტიკების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვის პროცენტული მაჩვენებელი, შემდეგ მოდის ისეთი დანაშაულები როგორიცაა მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება.

საქართველოს პროკურატურასთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის წლად გამოაცხადა. პროკურატურის წარმომადგენლები სკოლებში ლექციებს ატარებენ სამართლებრივ საკითხებზე, რაც მაღლა სწევს განათლების დონეს და პრევენციის კარგი მექანიზმია. განათლების სამინისტრომ თბილისი სკოლებში დაიწყო ახალი პროექტის პილოტირება, რაც სკოლაში მანდატურის ყოფნას ითვალისწინებს. მანდატურები არ არიან პოლიციელები და არც რაიმე კავშირი აქვთ მათთან. მანდატურს არც იარაღი აქვს და არც ხელბორგილი. ისინი ერთი მხრივ დისციპლინას იცავენ სკოლაში, მეორე მხრივ კი თუ ბავშვს ქცევითი პრობლემა აქვს, მშობლებთან და სკოლის დირექტორებთან იმუშავებენ, მისცემენ რეკომენდაციებს, იმსჯელებენ დისციპლინურ სასჯელზე და სხვ.

დადებითი შედეგი უნდა გამოიყოს ასევე უბნის ინსპექტორების ინსტიტუტის აღდგენამ. მითუმეტეს თუ მათ

საპატრულო ეკიპაჟები და ქვეთი პატრულებიც დაეხმარებიან. უბნის ინსპექტორმა აუცილებლად უნდა იცოდეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე რამდენი მოზარდი ცხოვრობს, ვინ სად ხწავლობს ან მოღვაწეობს, უნდა იცოდეს რა მისწრაფება აქვთ ამ მოზარდებს, რა აინტერესებთ. ეს ხელს შეუწყობს ე.წ. როვლი ბავშვების გამოვლენას.

აღსანიშნავია მართლმადიდებლური ეკლესიის როლიც. მოძღვართან აღსარებაზე სისტემატიური სიარული, რელიგიური წესების დაცვა, წირვა-ლოცვაზე დასწრება, მრევლის წევრებთან ურთიერთობა – თვითდისციპლინას უვითარებს მოზარდებს.

2002 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. ამ კანონის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია აღკოპოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან. კანონი ასევე კრძალავს არასრულწლოვანთათვის აღკოპოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს მიყიდვას; არასრულწლოვანთა მიერ აღკოპოლური სასმელების, ლუდისა და სასმელების რეალიზაციას. აკრძალულია აზარტულ სათამაშო დაწესებულებებსა და აზრტულ სათამაშო ავტომატებთან არასრულწლოვანთა დაშვება; ასეთ დაწესებულებებში მათი მუშაობა.

სკოლებში ხშირია უფროს კლასელების მხრიდან უმცროს კლასელებზე ზეწოლა ფულის გამოძალვის მიზნით. სწორედ ამიტომ უსაფრთხო სკოლის ერთ-ერთი კომპონენტი სკოლის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის ხმარებიდან ამოღება. სკოლის სასადილოში აღარ მოხდება ნაღდი ფულის გადახდა, ფულის ნაცვლად ბავშვებს პლასტიკური ბარათები ექნებათ, რომელზეც მშობლები თანხას ჩარიცხავენ. იგეგმება სხვა პროგრამების განხორციელებაც, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ეთიკურ განვითარებას.

უცილებელია სკოლაში შეიქმნას ფსიქოლოგიური სამსახურები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა შორის კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზების შესწავლას და გაანალიზებას, გააცნობს მოზარდებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ხელს შეუწყობს უფროსკლასელებისათვის მორალისა და ეთიკის პრობლემებზე სადისკუსია ცენტრის შექმნას.

ასევე სასურველია შეიქმნას საგანმანათლებლო წრეები, სადაც მოზარდები გაეცნობიან სპეციალურად მათვის შერჩეულ ლიტერატურას, უყურებებს ფილმებს, რომელთა ირგვლივაც ბავშვებს შორის გაიმართება დებატები. შემუშავებული იქნება მონდომებული მოზარდების წახალისების ფორმებიც.

უმნიშვნელოვანესია, რომ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელებამ არ შეიღახოს ბავშვთა უფლებები, თუმცა ბავშვმა აუცილებლად უნდა გაიზიაროს რა ზიანი გამოიწვია მისმა დანაშაულმა და გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

## დასკვნა

არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროცესში არის უმნიშვნელოვანესი ასპექტი საზოგადოებაში დამნაშავეობის აცილებისა. იმისათვის რომ ეს ძალისხმევა იყოს ეფექტური, აუცილებელია, რომ მთელი საზოგადოების ძალისხმევა ბავშვთა პარმონიული განვითარების მიზნით წარიმართოს. არასრულწლოვანთა აღზრდის პრობლემა გლობალურად უნდა იქნეს გააზრებული. პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს ეველა უწყებამ: სასწავლო დაწესებულებებმა, საგანმანათლებლო, ახალგაზრდულმა, სპორტულმა და კულტურულმა ორგანიზაციებმა.

ამასთან, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნის მუშაობის პრაქტიკაში არსებული პრევენციის ფორმები და მეთოდები. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა მექანიურად, არამედ ეროვნული თავისებურების გათვალისწინებით.

## References:

### ლიტერატურა:

1. Rlonti g., kriminologia, Tb. 2008;
2. SalikaSvili m., kriminologia, Tb. 2008;
3. qarumiZe v., dargali., arasrulwlovani, damnaSaveoba da marTlmsajuleba, Tb. 1998;
4. rogava n., arasrulwlovan damnaSaveTa nebisyofa da misi aRzrdis gzebi da saSualebani, Tb. 1988;
5. mosuliSvili m., arasrulwlovanTa samarTaldarRvevis prevencia, Jurn. "cxovreba da kanoni", 2008, #1;

6. fxikiZe n., arasrulwlovanTa danasaulobis Taviseburebani. Jurn. "saistorio vertikalebi", 2009, #1;

7. saqrTvelos kanoni "mavne zegavlenisagan arasrulwlovanTa dacvis Sesaxeb" 2001 wlis 28 seqtemberi.

### **Ella Kusiani**

### **Reasons of Juvenile Crime and Prevention**

#### **Summary**

Crimes of minors - is a multicomponent problem, and correspondingly faults of minors may have many reasons for that. They themselves, as well as their families, society and the state may be guilty of the criminal behavior of minors.

Relations between the parents and children, as well as relations between the parents greatly play their part. The parent must always be aware of his child's friends, where he/she spends his/her spare time and the direction of development of his/her personal qualities.

Family for the teenager is a unique bridge of public and social identification. Social function of the family first of all stipulates rendering of possibilities to the teenager for healthy identification, for him/her to find his place in the public society.

Family violence, parents' drug and alcohol addiction, adults' indifference or hypercare - negatively influence upon a teenager.

One of the varieties of mental effect on a teenager is screening of violent and erotic films on TV channels, pornographic journals and newspapers. All those facts result in devaluation of social valuables of children.

